საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ადვოკატთა სახელმძღვანელო

ეფექტიანი გამოძიება სამართალდამცავთა მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე

ეროვნულ დონეზე საქმის სრულყოფილი წარმოება ევროპულ სასამართლოში საჩივრის გაძლიერების მიზნებისთვის

ადვოკატთა სახელმძღვანელო

ეფექტიანი გამოძიება სამართალდამცავთა მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე

ეროვნულ დონეზე საქმის სრულყოფილი წარმოება ევროპულ სასამართლოში საჩივრის გაძლიერების მიზნებისთვის

თბილისი

2021

გამოცემის ხელმძღვანელები:	**ნონა ქურდოვანიძე**
	თამარ ონიანი
ავტორები:	**მარიამ ჭიკაძე**
	გიორგი ტაბატაძე
რედაქტორი:	**ხათუნა ყვირალაშვილი**
ყდის დიზაინი:	**თეონა კერესელიძე**

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო, 0102
+995 322 936101
www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2021

სარჩევი:

შესავალი..... 5

ნაწილი I – ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულება..... 7

ნაწილი II – პრაქტიკული რჩევები..... 23

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოება, სხვა წინაპირობათა შორის, ეროვნულ დონეზე უფლების დაცვის ყველა ეფექტიანი საშუალების ამოწურვას მოითხოვს. იქიდან გამომდინარე, რომ სამართალდამცავთა მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე უფლების დაცვის საშუალება საგამოძიებო ორგანოს მიერ ეფექტიანი გამოძიებაა, მნიშვნელოვანია, დაზარალებულის წარმომადგენლებმა, ერთი მხრივ, შეძლონ ამგვარი გამოძიების ხელშეწყობა, ხოლო, მეორე მხრივ, სწორად დააიდენტიფიცირონ ის მოცემულობები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ევროპულ სასამართლოში საქმის წარმართვისას საჩივარს გააძლიერებს. ეროვნულ დონეზე საქმის სწორი და სრულყოფილი წარმოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულების დროს, როგორებიც არის, მაგალითად, წამება, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა, სიცოცხლის უფლების ხელყოფა და სხვა.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, წვლილი შეიტანოს იმ ადვოკატთა გაძლიერებაში, რომლებიც დაზარალებულთა ინტერესებს სწორედ სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით წარმოადგენენ. სახელმძღვანელო ორ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში მიმოხილულია ის ზოგადი სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მიერ საქმის ეფექტიანი გამოძიება, ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია პრაქტიკული რჩევები, რომლებიც დაეხმარება ადვოკატებს ეროვნულ დონეზე საქმის სრულყოფილად წარმოებაში.

ამრიგად, სახელმძღვანელო ადვოკატების საქმიანობაში შეასრულებს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციას და გააძლიერებს მათ საქმიანობას სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნის/ხელშეწყობის თვალსაზრისით. ეს კი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს საქმის წარმატებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ნაწილი I

ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულება

რას მოითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი?

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმებია დაცვის ყველა შიდა სამართლებრივი საშუალების ამოწურვა და მიმართვის 4-თვიანი[1] ვადა.

არასათანადო მოპყრობისა და სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე სამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებად მიჩნეულია ეროვნულ დონეზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება, რომლის პოზიტიური ვალდებულება ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნაა. ეფექტიანი გამოძიების მიზნებისთვის, საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გადადგან „ყველა გონივრული ნაბიჯი", რათა მოიპოვონ დანაშაულთან დაკავშირებული ყველა შესაძლო მტკიცებულება და შეძლონ პასუხისმგებელი პირების დადგენა და დასჯა. გამოძიების მიმდინარეობისას დაშვებული ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ძირს უთხრის საგამოძიებო ორგანოების შესაძლებლობას, დაადგინონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დასაჯონ პასუხისმგებელი პირები, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ ეფექტიანი გამოძიების პრინციპებს.[2]

1. ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულება

რას მოითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი?

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენციის პირველივე მუხლი მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს თავიანთ იურისდიქციაში შემავალი პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულებას აკისრებს. ამ უფლებათა შორის სიცოცხლის უფლება (მუხლი 2) და წამების, არასათანადო, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისაგან

[1] 2021 წლის აგვისტოდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, კონვენციით დადგენილი 6-თვიანი ვადა შემცირდა 4 თვემდე; ეს წესი ძალაში 2021 წლის 1-ლი აგვისტოდან 6 თვის შემდეგ შევა. იხ. Explanatory Report, Protocol No. 15 amending the Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, https://www.echr.coe.int/Documents/Protocol_15_ENG.pdf, [02.08.2021].

[2] დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ (Davtiani v. Georgia) no. 73241/01, 27.10.2006, პარ 40.

დაცვის უფლება (მუხლი 3) დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ღირებულებებია.[3] სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებაა ამ უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დაცული სფეროს პრაქტიკაში ეფექტიანი რეალიზება შეუძლებელი გახდება.[4] თუ არასათანადო მოპყრობის განმახორციელებელი სუბიექტი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელია, ასეთი საჩივრების ჯეროვანი გამოძიება, დამატებით, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და მისი ნდობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.[5]

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ევროპული კონვენციის მეორე და მესამე მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების მიზნით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ სამართალში 5 ძირითადი პრინციპი განავითარა. მათი შემუშავება უმთავრესად ორ მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, სიცოცხლის ხელყოფისა ან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების ეფექტიანი გამოძიება პირისთვის უფლების დაცვის საშუალებაა, ხოლო მეორე მხრივ, ის ხელს უწყობს იმგვარი საგამოძიებო ჩარჩოს შექმნას, რომელსაც დამნაშავე სამართალდამცავების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის უნარი აქვს.[6]

ეფექტიანი გამოძიების სტანდარტი შემდეგი ხუთი კრიტერიუმისგან შედგება: **(1) გამოძიების დამოუკიდებლობა, (2) მისი ადეკვატურობა, (3) გამოძიების სწრაფი წარმოება, (4) საჯაროობა, (5) მასში**

---

[3] იხ. მრავალ სხვათა შორის: ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v Italy), no. 26772/95, 06.04.2000, პარ 119, აბდულაჰ ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ (Abdullah Yilmaz v. Turkey), no. 21899/02, 17.06.2008, პარ 56.

[4] ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia), no. 25091/07 26/06/2011, პარ. 241; The prohibition of torture, A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights, Human rights handbooks, No. 6, July 2003, გვ. 48.

[5] Commissioner for Human Rights, Opinion of the Commissioner for Human Rights Concerning Independent and Effective Determination of Complaints Against the Police, 12.03.2009, გვ. 3; https://rm.coe.int/opinion-of-the-commissioner-for-human-rights-thomas-hammarberg-concern/16806daa54, [21.07.2021].

[6] სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey), no. 21986/93), 27.06.2000, პარ. 123; ნაჩოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova v. Bulgaria), nos. 43577/98 and 43579/98, 06.07. 2005, პარ. 110.

დაზარალებულის ჩართულობა.[7] თითოეული სტანდარტი ქვემოთ დეტალურადაა განხილული.

1.1. რას გულისხმობს გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნა?

გამოძიების დამოუკიდებლობა, მისი ეფექტიანობის თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობის კრიტერიუმია, რომელიც დაზარალებულისა და საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი ადასტურებს, რომ გამოძიების დამოუკიდებლობის ვალდებულება არა მხოლოდ უშუალოდ მის მწარმოებელ პირებზე ვრცელდება, არამედ მათზეც, ვისაც გამოძიების პროცესში გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვთ. ასეთები, შესაძლოა, იყვნენ, მათ შორის, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლების მქონე პირები/ორგანოები, ექსპერტები, ზედამხედველი პროკურორები და სხვა სპეციალური უწყებები.[9]

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევებზე წარმოებული გამოძიება დამოუკიდებლად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, ის პირები და ინსტიტუტები, რომლებიც გამოძიებას წარმართავენ და მის შედეგებზე არიან პასუხისმგებელნი, თავისუფლები იყვნენ მოვლენებში მონაწილე სამიზნე სუბიექტების გავლენებისგან. ამ კონტექსტში, დამოუკიდებლობის მოთხოვნა გულისხმობს როგორც *ინსტიტუციური ან/და იერარქიული კავშირის არარსებობას* გამოძიების მწარმოებელ პირსა და იმ სამართალდამცავს შორის, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს გამოძიება, ასევე *დამოუკიდებლობას პრაქტიკული თვალსაზრისით.*[10] ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად,

---

[7] იქვე.

[8] The 14th General Report on the CPT's activities, CPT/Inf (2004) 28, პარ. 32.

[9] Erik Svanidze, Effective Investigation of Ill-treatment Guidelines on European standards, მეორე გამოცემა, 2014 წლის ივნისი, გვ. 43.

[10] იხ. მრავალ სხვათა შორის: ოგიური თურქეთის წინააღმდეგ (OĞUR v. TURKEY), no.21594/93, 20.05.1999. პარ. 91-92; არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani and Silva v. The United Kingdom), no. 5878/08, 30.03.2016, პარ. 232; ბოიდი ბელგიის წინააღმდეგ (Bouyid v. Belgium), 23380/09, 28.09.2015, პარ. 38.

რამდენადაც ამ შემთხვევაში სასწორზე სახელმწიფოს მიმართ საზოგადოების ნდობა დევს.[11]

იმის შეფასებისას, რამდენად დამოუკიდებლად ჩატარდა გამოძიება ეროვნულ დონეზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონკრეტული საქმის ყველა ფაქტობრივ გარემოებას იღებს მხედველობაში და მხოლოდ აბსტრაქტული მიდგომით არ შემოიფარგლება.[12] მაგალითად, სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლოს სწორ მიდგომად მიაჩნია იმის გამორკვევა, რამდენად დაბალანსდა სადავო ფაქტორები ეფექტიანი გამოძიებით, რომელსაც პირის გარდაცვალების გარემოებების დადგენისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის უნარი უნდა ჰქონდეს.[13] სასამართლო, იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორები ინფორმაციის მიღებისა და დახმარების თვალსაზრისით, გარკვეულწილად, პოლიციაზე არიან დამოკიდებულნი, პროკურორებისა და პოლიციის ურთიერთთანამშრომლობას არ გამორიცხავს. თუმცა, ამ ორ ძალას შორის *მჭიდრო სამსახურებრივმა ურთიერთობამ,* შესაძლოა, გამოძიების დამოუკიდებლობასთან მიმართებით პრობლემები წარმოშვას.[14] შესაბამისად, ამ შემთხვევაში შეფასების მთავარი საგანი არის საგამოძიებო ორგანოსა და იმ სამართალდამცავ უწყებას შორის არსებული კავშირის ხარისხი, სადაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი მუშაობდა.

<u>*დამოუკიდებელი ორგანოს*</u> არსებობა, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ შედგენილი საჩივრების განხილვისა და გამოძიების უფლებამოსილება აქვს, როგორც პრაქტიკული დამოუკიდებლობის, ისე ინსტიტუციური თუ იერარქიული კავშირის არარსებობის მოთხოვნასთან სრულ თანხვედრაშია. შესაბამისად, პოლიციელთა წინააღმდეგ მიმართული საჩივრების განმხილველი ასეთი ორგანო დღეს უკვე არაერთ ქვეყანაში

---

[11] რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. the Netherlands), no. 52391/99, 15.05.2007, პარ. 325; ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. The United Kingdom), no. 24746/94, 04.05.2001. პარ. 106.

[12] მუსტაფა თუნჩი და ფეჩირ თუნჩი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey), no. 24014/05, 14.04.2015, პარ. 223.

[13] Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights Right to Life, Right to life, 30.04.2021, პარ. 150.

[14] რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. The Netherlands), no. 52391/99, 15.05.2007, პარ. 344.

მოქმედებს.[15] იმის განსაზღვრისას, თუ რომელმა ორგანომ უნდა ჩაატაროს გამოძიება - პოლიციამ თუ დამოუკიდებელმა ორგანომ - მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები: საჩივრის სერიოზულობა, მომჩივნის მიმართ განვითარებული მოვლენები, საჩივრის შედეგები იმ სამართალდამცავის მიმართ, რომლის ქმედებაც გასაჩივრდა, საზოგადოებრივი ინტერესი, მათ ხელთ არსებული რესურსები და სხვა.[16]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე გამოძიების დამოუკიდებლობის დარღვევის რამდენიმე ძირითადი შემთხვევა შეიძლება გამოიყოს. კერძოდ, როდესაც:

- გამომძიებელი თავად არის დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი;[17]
- გამომძიებელი არის სავარაუდო დამნაშავის (ბრალდებულის) კოლეგა;[18]
- გამომძიებელსა და ბრალდებულს შორის იერარქიული კავშირი არსებობს;[19]
- გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ბრალდებულთა ჩვენებებს/განცხადებებს;[20]
- არ ჩატარდა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები და არ იყო მიღებული სათანადო ზომები, რომლებიც სადავო საქმის გარემოებებს გამოარკვევდა.[21]

იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული საქმე სპეციფიკური ფაქტობრივი გარემოებებით ხასიათდება, დამოუკიდებლობის მოთხოვნის დარღვევის ეს ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, ამომწურავი არ არის.

---

[15] Department for the Execution of Judgments of the European Court of Human Rights, Effective Investigations into Death or Ill-treatment caused by Security Forces, 2020 წლის ივლისი, გვ. 3.

[16] Commissioner for Human Rights, Opinion of the Commissioner for Human Rights Concerning Independent and Effective Determination of Complaints Against the Police, 12.03.2009. გვ. 12.

[17] ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Orhan v. Turkey), no. 25656/94, 18.06.2002. პარ. 342.

[18] ემარსი ლატვიის წინააღმდეგ (Emars v. Latvia), no. 22412/08, 18.11.2014, პარ. 85, 95.

[19] სანდრუ და ოტრისი რუმინეთის წინააღმდეგ (Şandru Et Autres c. Roumanie), no. 22465/03, 08/12/2009, პარ. 74.

[20] კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey), no. 22729/93, 19.02.1998, პარ. 89.

[21] სერგეი შევჩენკო უკრაინის წინააღმდეგ (Sergey Shevchenko v. Ukraine), no. 32478/02, 04.04.2006, პარ. 72-73.

1.2. რას გულისხმობს გამოძიების ადეკვატურობის მოთხოვნა?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოძიების ადეკვატურად ჩატარების ვალდებულებას ადგენს. ადეკვატურობის პრინციპი მიმართულია არა შედეგის, არამედ საშუალებებისკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი, ეროვნულ დონეზე წარმოებული ყველა გამოძიება წარმატებით და პირთა დასჯით დასრულდეს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რამდენად შეძლო გამოძიებამ საქმესთან დაკავშირებული რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირება და, სათანადო საფუძვლის არსებობისას, მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება.[22] ხოლო საქმეებში, სადაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ძალა გამოიყენეს, უნდა შეფასდეს, რამდენად გამართლებული და პროპორციული იყო ძალის გამოყენება იმ კონკრეტულ შემთხვევაში.[23]

იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ინციდენტი განსხვავებული გარემოებებით ხასიათდება, გამოძიების პროცესში სახელმწიფოს მიერ მისაღები ყველა ზომის ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობს. თუმცა, ზოგადი მიდგომის თანახმად, ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული *ყველა გონივრული ზომა* და ძალისხმევა იმისთვის, რომ მოიპოვოს, დაიცვას, სათანადოდ გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, დანიშნოს ექსპერტიზები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ყოვლისმომცველ გამოძიებასთან იქნება შესაბამისი.[24]

მოსაპოვებელ მტკიცებულებათა რიცხვში შედის, მათ შორის, განმცხადებლისგან დეტალური და ამომწურავი ახსნა-განმარტების მიღება, რომელიც მოიცავს მომხდარის შესახებ ყველა რელევანტური გარემოების აღწერის პირობას, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლების მიმართ - განსაკუთრებული მოპყრობისა და მზრუნველობის გამოჩენის ვალდებულებას. ასევე მნიშვნელოვანია მოწმეებისთვის ჩვენებების ჩამორთმევა, ნებისმიერი იმ პირის

---

[22] იხ. მრავალ სხვათა შორის: ბარაბანშჩიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Barabanshchikov v. Russia), no. 36220/02, 08.01.2009. პარ. 54.

[23] არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani Da Silva v. The United Kingdom), no. 5878/08, 30.03.2016, პარ. 233.

[24] Erik Svanidze, Effective Investigation of Ill-treatment Guidelines on European standards, მეორე გამოცემა, 2014 წლის ივნისი, გვ. 46.

მოძიება და გამოკითხვა, რომელსაც შეიძლება მომხდართან რაიმე სახის კავშირი ჰქონდეს. ასეთი პირები, შესაძლოა, იყვნენ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები, პოლიციის ოფიცრები, საზოგადოების წევრები, სხვა ბრალდებულები, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტები, ძირითადად, ლატენტური ხასიათისაა და მხედველობის მიღმა რჩება. მოპოვებული მტკიცებულებების, სისხლის სამართლის საქმის მასალების, პირის დაპატიმრებასთან, დაკავებასა ან სადავო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლა და შენახვა მნიშვნელოვანია მათი შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით.[25] ასევე საყურადღებოა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა მტკიცებულებები კრიტიკულად, ობიექტურად შეაფასონ, ბრალდებული პოლიციის ოფიცრების ჩვენებები, სათანადო შესწავლის გარეშე, სანდოდ არ მიიჩნიონ, ვინაიდან მათ მიერ წარმოდგენილი საქმის ვითარება, შესაძლებელია, დაცვის მხარის ტაქტიკას წარმოადგენდეს. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოები, პოლიციის ოფიცრების ჩვენებებისგან განსხვავებით, მომჩივნის ჩვენებას სუბიექტურად მიიჩნევენ.[26]

ჩასატარებელ *საგამოძიებო მოქმედებათა* შორის შემთხვევის ადგილის დათვალიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მისი დათვალიერება და შესწავლა უნდა მოხდეს ექსპერტების, კრიმინალისტებისა და სპეციალური ცოდნის მქონე პირების მონაწილეობით, რომლებიც სათანადო წესების დაცვით დაასურათებენ შემთხვევის ადგილს, მოიპოვებენ, დაიცავენ ნივთიერ მტკიცებულებებს, დოკუმენტებს, აიღებენ სხვადასხვა ნიმუშს (ადამიანის ორგანული სითხეები, სისხლი, სპერმა, ბიოლოგიური ნიმუშები), საჭიროების შემთხვევაში, აღმოჩენილ მტკიცებულებებზე დანიშნავენ ექსპერტიზებს. ასევე, მნიშვნელოვანია ამოცნობის ჩატარება, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, რომლებშიც მომჩივანი დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ადასტურებს.[27] თუკი საქმე ეხება საეჭვო ვითარებაში პირის გარდაცვალებას (კონვენციის მეორე

[25] იქვე, გვ. 47-50.
[26] ოგნიანოვა და ჩობანი ბულგარეთის წინააღმდეგ (Ognyanova and Choban v. Bulgaria), no. 46317/99, 23.02.2006, პარ. 99).
[27] ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v. Italy), no. 26772/95, 06.04.2020. პარ. 72.

მუხლის სავარაუდო დარღვევას), საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, ჩატარდეს გვამის პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთა, რაც დაზიანებების შესახებ ინფორმაციას იძლევა,[28] ასევე გვამის ექსჰუმაცია.[29]

სათანადო სამედიცინო შემოწმება არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ერთ-ერთი არსებითი დაცვითი მექანიზმია. სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაატაროს ამისთვის სპეციალიზებულმა, ფორმალურად და ფაქტობრივად დამოუკიდებელმა ექიმმა.[30] ისეთ შემთხვევებში, როდესაც ექსპერტი გასცემს დასკვნას იმ პირის სამედიცინო შემოწმებაზე, რომელიც მასზე განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას სადავოდ ხდის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ექიმმა დაადგინოს არასათანადო მოპყრობის ბრალდებასთან შესაბამისობის ხარისხი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევა არ ტოვებს პირზე ფიზიკურ დაზიანებებს ან იგი დროთა განმავლობაში შეიძლება გაქრეს. შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთი დასკვნები მხოლოდ ფიზიკურ დაზიანებათა არსებობა/არარსებობის საფუძველზე არ უნდა მიიღონ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომელთა წინააღმდეგაც არის მიმართული საჩივრები, სარგებლობენ იმავე საპროცესო უფლებებითა და გარანტიებით, რომლებითაც - ნებისმიერი კერძო პირი.[31]

გამოძიების ადეკვატურობის შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია, მის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები შიდასახელმწიფოებრივ საპროცესო კანონმდებლობას შეესაბამებოდეს და მაქსიმალურად ამომწურავი იყოს. გამოძიების დროს დაშვებული ნებისმიერი ხარვეზი თუ შეცდომა, რომელიც ამცირებს ან შეუძლებელს ხდის საქმის

---

[28] კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia), no. 8938/07 and no. 41891/07, 02.04.2020, პარ. 129; ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v. Georgia), no. 35403/06, 15.02.2011, პარ. 75.

[29] სოლსკა და რუბიკა პოლონეთის წინააღმდეგ (Solska and Rybicka v. Poland), no. 30491/17 and no. 31083/17, 20.09.2018, პარ. 120-121.

[30] აკოცი თურქეთის წინააღმდეგ (Akkoç v. Turkey), no. 22947/93 and no. 22948/93, 10.10.2000, par. 55, 118.

[31] Commissioner for Human Rights, Opinion of the Commissioner for Human Rights Concerning Independent and Effective Determination of Complaints against the Police, 12.03.2009, გვ. 12.

გარემოებების გამორკვევასა და დამნაშავე პირთა სათანადოდ დასჯას, ეწინააღმდეგება გამოძიების ადეკვატურობის პრინციპს.[32]

1.3. რას გულისხმობს გამოძიების სწრაფი წარმოების მოთხოვნა?

გამოძიების სისწრაფისა და დროულობის მოთხოვნა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე სწრაფი რეაგირება მოახდინოს და გამოძიება, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, გონივრულ ვადაში ჩაატაროს.[33] სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრების სწრაფი განხილვა და გამოძიების დროულობა ერთ-ერთ მთავარ გარანტორად შეიძლება ჩაითვალოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ: (1) მთელი სამართალწარმოების განმავლობაში დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი სამართალდამცავები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საზოგადოების წინაშე; და (2) ობიექტურ დამკვირვებელს არ გაუჩნდეს ეჭვები სახელმწიფოს მხრიდან მათთვის ხელის დაფარებისა და ლოიალური/შემწყნარებლური დამოკიდებულების შესახებ.[34]

გამოძიების სისწრაფე რამდენიმე თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. სისწრაფისა და გონივრულობის მოლოდინი, უშუალოდ საჩივრის განხილვისა და გამოძიების ჩატარების გარდა, ასევე მიემართება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებასა თუ სამედიცინო შემოწმებას.[35] მაგალითად: მომხდარის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მალევე უნდა გამოიკითხონ შესაბამისი პირები, ჩატარდეს ამოცნობა, საჭიროებისამებრ, დაინიშნოს ექსპერტიზა და მოიპოვონ მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეული საგამოძიებო ზომის მიღების გაჭიანურებამ, შეიძლება, უარყოფითი გავლენა

---

[32] ბატი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Bati and Others v. Turkey), no. 33097/96 and 57834/00, 03.06.2004, პარ. 134.

[33] ტალპისი იტალიის წინააღმდეგ (Case of Talpis v. Italy), no. 41237/14, 02.03.2017, პარ. 106; ოგნიანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Ognyanova v Bulgaria), no. 46317/99, 23.02.2006, პარ. 114; იასა თურქეთის წინააღმდეგ (Yaşa v. Turkey), no. 22495/93, 02.09.1998, პარ. 102-104.

[34] იხ. მრავალ სხვათა შორის: ბატი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Bati and Others v. Turkey), (no. 33097/96 and 57834/00, 03.06.2004 პარ. 147; მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania), no. 10865/09 45886/07 32431/08, 17.09.2014, პარ. 323.

[35] Istanbul Protocol, Manual on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, par. 104, 2004.

იქონიოს გამოძიების ეფექტიანობაზე რამდენიმე თვალსაზრისით, მათ შორის, მტკიცებულებას დაუკარგოს თავდაპირველი მნიშვნელობა, მისი მოპოვება გახადოს შეუძლებელი, მოწმეთა ჩვენებების სანდოობა ან/და გამოყენებადობა კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.[36]

ზოგიერთ შემთხვევაში, გამოძიების პროგრესირება შეიძლება გამოძიების პროცესში წარმოშობილმა ცალკეულმა სირთულემ ან დაბრკოლებამ შეაფერხოს. თუმცა, ასეთი ფაქტები სახელმწიფოს სწრაფი რეაგირებისა და სათანადო გულმოდგინების გამოჩენის ვალდებულებას არ გამორიცხავს. უფრო მეტიც, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოყენებული ლეტალური ან/და გადამეტებული ძალის საქმეებში სახელმწიფოს სწრაფი რეაგირება და მზაობა საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.[37]

გამოძიების სისწრაფეზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე კონკრეტული ვადა და ერთიანი სტანდარტი სასამართლოს თავის პრეცედენტულ სამართალში არ აქვს განვითარებული, არამედ მოითხოვება, რომ ის ჩატარდეს *<u>გონივრულ ვადაში.</u>* ვადის გონივრულობა კი უნდა შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და არა - აბსტრაქტულად. გონივრულობის შეფასებისას, მათ შორის, მხედველობაში მიიღება საქმის სირთულე, ასევე, რამდენად ცნობილია დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პირის ვინაობა, ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა რაოდენობა და სხვა რელევანტური გარემოებები.[38]

---

[36] მიხეევი რუსეთის წინააღმდეგ (Mikheev v. Russia), no. 77617/01, 26.01.2006, პარ. 113-114; აიდინი თურქეთის წინააღმდეგ (AYDIN v. TURKEY), no. 23178/94, 25.09.1997, პარ. 108.

[37] ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (OPUZ v. TURKEY), no. 33401/02, 09.06.2009. პარ. 150; ავშარი თურქეთის წინააღმდეგ (Avşar v. Turkey), no. 25657/94, პარ. 395.

[38] ვემჰოფი გერმანიის წინააღმდეგ (Wemhoff v. Germany), no. 2122/64, 27.06.1968, პარ. 17; სკოტი ესპანეთის წინააღმდეგ (Scott v. Spain), no. 21335/93, 18.12.1996, პარ. 17; მაგალითად, საქმეში „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ თურქეთის სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიების ხანგრძლივობა (6 წელზე მეტი ხანი) არ მიიჩნია სწრაფი გამოძიების მოთხოვნის შესაბამისად (პარ. 151); ამისგან განსხვავებით, სასამართლომ გამოძიების სწრაფი წარმოების მოთხოვნა დაკმაყოფილებულად მიიჩნია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: გამოძიება საჩივრის მიღებისთანავე დაიწყო, ხოლო მეორე დღესვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები დაინიშნა - იხ. კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Kekelidze v. Georgia, no. 2316/09, 17.01.2019, პარ. 27).

1.4. რას გულისხმობს გამოძიების საჯაროობის მოთხოვნა?

გამოძიების საჯაროობის მოთხოვნა გამოძიების პროცესში დაზარალებულის, ხოლო დაზარალებულის გარდაცვალების საქმეებში - მისი ნათესავების ჩართულობის პრინციპთან მჭიდრო კავშირშია.[39] ამ შემთხვევაში არა რომელიმე კონკრეტული პირ(ებ)ის, არამედ მთელი საზოგადოების მონაწილეობა და მათი მხრიდან კონტროლი მოითხოვება. ის გულისხმობს გამოძიებისა და მისი შედეგების საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.[40]

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის საქმეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის იმ მასალების/დოკუმენტების გამჟღავნება, რომლებშიც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებია მოცემული. მოცემული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლების გაგება საზოგადოების თვალში გამოძიების მწარმოებელ ორგანოებსა და სავარაუდო დამნაშავე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის მიკერძოების შესაძლებლობას ამცირებს და, ამ მხრივ, საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას უწყობს ხელს.[41] სასამართლო კიდევ უფრო შორს მიდის და არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთ საქმეში, რომელიც ჩადენილი ქმედების ხასიათითა და ხარისხით განსაკუთრებული სიმძიმისაა, საზოგადოებრივი კვლევა ჩატარდეს ან სამართალდამცავთა საჯარო მოსმენა მოეწყოს.[42]

გამოძიების საჯაროობის მოთხოვნა აბსოლუტური და აბსტრაქტული ხასიათის არ არის. მისი შეფასებისას გაითვალისწინება ის გარემოება, რომ საქმის მასალები, მათ შორის, დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი სამართალდამცავების ჩვენებები, შესაძლოა, კონფიდენციალურ ან

---

[39] Commissioner for Human Rights, Opinion of the Commissioner for Human Rights Concerning Independent and Effective Determination of Complaints against the Police, 12.03.2009, გვ. 13.

[40] 14th General Report on the CPT's activities, CPT/Inf (2004) 28, პარ. 36; ასევე, იხ. მრავალ სხვათა შორის: მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Mckerr v. The United Kingdom), no.28883/95, 04.05.2001, პარ. 115; ტაჰსინ აკარი თურქეთის წინააღმდეგ (Tahsin Acar v. Turkey), no. 26307/95, 08.04.2004, პარ. 225.

[41] მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Mckerr v. The United Kingdom), no.28883/95, 04.05.2001, პარ. 338.

[42] ედვარდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Edwards v The United Kingdom), no. 46477/99, 14.03.2002, პარ. 84.

სენსიტიურ ინფორმაციას შეიცავდეს. ასეთი ინფორმაციის გამ-ჟღავნებამ კი, თავის მხრივ, შესაძლოა, ცალკეულ პირთა თუ გამოძიების ინტერესებს ზიანი მიაყენოს.[43] შესაბამისად, გამოძიების პროცესში საქმის მასალებზე წვდომის შეზღუდვა შეიძლება სამართალწარმოების მომდევნო ეტაპებზე (მაგალითად, საქმის სასამართლოში განხილვისას) საზოგადოების ან მსხვერპლის მიერ მოთხოვნილი ჩართულობით დაკომპენსირდეს.[44]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ საჭირო საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი საქმის ფაქტობრივი გა-რემოებების მიხედვით განსხვავებულია და თითოეულ საქმეში სახელმწიფომ საჯაროობასა და კონფიდენციალურობას შორის სწორი ბალანსი უნდა დაიცვას.[45]

1.5. რას გულისხმობს გამოძიების პროცესში დაზარალებულის ჩართულობის მოთხოვნა?

საგამოძიებო პროცესში დაზარალებულის სათანადო ჩართულობა გამოძიების მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. შესაბამისად, თუკი, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის შეზ-ღუდვა, *პირობითად,* შეიძლება გამართლებული იყოს გამოძიების ან/და კონკრეტული კერძო პირის ინტერესებით, დაზარალებული, განსაკუთრებული საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, გამოძიების პროცესში ყველა შემთხვევაში უნდა იყოს ჩართული *სათანადო ხარისხით,* რათა დაცული იყოს მისი ლეგიტიმური ინტერესები.[46]

---

[43] რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდები წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. The Netherlands), no. 52391/99, 15.05.2007, პარ. 297.

[44] იხ. მრავალ სხვათა შორის: ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. The United Kingdom), no. 24746/94, 04.05.2001, პარ. 121; გიულიანი და გაგიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani And Gaggio v. Italy), no. 23458/02, 24.03.2011, პარ. 304; European Union – Council of Europe joint project, "Application of the European Convention on Human Rights and harmonisation of national legislation and judicial practice in line with European standards in Georgia", The case law of the european court of human rights on victims' rights in criminal proceedings, პარ. 31.

[45] Department for the Execution of Judgments of the European Court of Human Rights, Effective Investigations into Death or Ill-treatment caused by Security Forces, 2020 წლის ივლისი, გვ. 10.

[46] იხ. მრავალ სხვათა შორის ალ-სკეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-skeini and Others v. The United Kingdom), no. 55721/07, 07.07.2011, პარ. 167; აჰმეთ ოზკანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Ahmet Özkan and Others v. Turkey), no. 21689/93, 06.04.2004,

გამოძიების პროცესში დაზარალებულის ჩართულობის მოთხოვნა მხოლოდ ფორმალური, თეორიული დანაწესი არ უნდა იყოს. აუცილებელია, მას ამ პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის პრაქტიკული და რეალური შესაძლებლობა მიეცეს. ასეთი შესაძლებლობა გულისხმობს, მათ შორის, დაზარალებულის რეგულარულ ინფორმირებას გამოძიების მიმდინარეობის, გატარებული ზომებისა და შედეგების შესახებ.[47] ასევე მნიშვნელოვანია, დაზარალებულს საქმის მასალებზე ხელი მიუწვდებოდეს იმ ხარისხით, რომ მან შეძლოს ქმედითი მონაწილეობა გამოძიების მწარმოებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცესში.[48]

გამოძიების პროცესში დაზარალებულის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ გამოძიების მწარმოებელ ორგანოს კავშირი ჰქონდეს დაზარალებულთან, გაუწიოს მას კონსულტაცია და მიაწოდოს ინფორმაცია მისი საჩივრის განმხილველი მექანიზმების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული ინციდენტის შედეგად ტრავმირებული პირია, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა, სამართლებრივი დახმარება თუ სამართლებრივი წარმომადგენლობით უზრუნველყოფა. გამოძიების პროცესში დაზარალებულის ჩართულობა და სათანადო უფლებამოსილებებით აღჭურვა თავად დაზარალებულში იწვევს იმის განცდას, რომ მისი, როგორც არა სახელმწიფოს წარმომადგენელი, არამედ კერძო პირის ინტერესები სახელმწიფოს წარმომადგენლების ინტერესებთან მიმართებით არ არის უგულებელყოფილი ან მეორეხარისხოვანი. დაზარალებულს, გამოძიების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებსა და უსამართლობაზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობის გზით, შეუძლია გააკონტროლოს გამოძიების მიმდინარეობა.[49] მას ასევე უნდა ჰქონდეს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მოთხოვნის უფლებამოსილება. თუმცა, ეს უფლება არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს საგამოძიებო

პარ. 314; პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. The United Kingdom), no. 46477/99, 14.03.2002, პარ. 73.

[47] იხ. მრავალ სხვათა შორის: ედვარდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Edwards v UK), no. 46477/99, 14.03.2002, §84.

[48] ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v. Georgia), 35403/06, პარ. 76.

[49] Commissioner for Human Rights, Opinion of the Commissioner for Human Rights Concerning Independent and Effective Determination of Complaints against the Police, გვ. 14.

ორგანოებს დაზარალებულის ან მისი ნათესავის მიერ მოთხოვნილი ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვალდებულება აქვთ.[50]

გამოძიების პროცესში ზემოაღნიშნული კრიტერიუმის არარსებობა დაზარალებულის ჩართულობის მოთხოვნას არსებითად ეწინააღმდეგება და ევროპული კონვენციის პრინციპების დარღვევას იწვევს.[51] მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როდესაც მომჩივანი, ეროვნულ დონეზე დაზარალებულის სტატუსის ქონის მიუხედავად, გამოძიების განვითარების შესახებ ინფორმირებული არ იყო.[52] ასევე, როდესაც დაზარალებულის მეუღლეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, სათანადოდ შეესწავლა საქმის მასალები, მიეღო ინფორმაცია გამოძიების პროცესში განხორციელებული ზომების შესახებ და სხვა.[53]

1.6. არის თუ არა სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება?

სამოქალაქო დავა შიდა სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებად არ მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომჩივანი მოიგებს დავას და აუნაზღაურდება მორალური ან/და მატერიალური ზიანი. ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის შემთხვევაში, აუცილებელია, ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება.

ევროპული სასამართლო არაერთ საქმეში ადგენს, რომ კონვენციის მე-2 ან მე-3 მუხლების მიზნებისთვის, სამოქალაქო საქმისწარმოება არ არის კონვენციის 35-ე მუხლით გათვალისწინებული ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება არის არაქმედითი, სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებიც (მაგალითად, სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა) არაქმედითი ხდება.[54] ევროპული

---

[50] რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. The Netherlands), no. 52391/99, 15.05.2007, პარ. 348.

[51] ხადისოვი და წეჩოევი რუსეთის წინააღმდეგ (Khadisov and Tsechoyev v. Russia), no. 21519/02, 05.05.2009, პარ. 122.

[52] ბეტაიევი და ბეტაიევა რუსეთის წინააღმდეგ (Betayev and Betayeva v. Russia), no. 37315/03, 29. 05. 2008, პარ. 88.

[53] მეჟიევა რუსეთის წინააღმდეგ (Mezhiyeva v. Russia), no. 44297/06, 16.04.2015, პარ. 75.

[54] ისაიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Isayev and Others v. Russia), no. 43368/04,21/06/2011, პარ. 189.

სასამართლოს პრაქტიკით, კომპენსაციის მიღება არის მხოლოდ ერთი ნაწილი იმ ზომებისა, რომლებიც აუცილებელია მომჩივნის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვისთვის.[55]

ამგვარად, ევროპული სასამართლო სიცოცხლის (მე-2 მუხლი) ან წამების აკრძალვის (მე-3 მუხლი) უფლებების დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის ქმედით მექანიზმად მიიჩნევს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიების წარმოებას. სამოქალაქო დავა არის მხოლოდ დამატებითი ინსტრუმენტი, რომელიც გამოძიებას, როგორც სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას, ვერ ჩაანაცვლებს.

გაითვალისწინეთ: თუ საგამოძიებო ორგანოებმა გონივრულ ვადებში და სათანადო გულმოდგინებით ჩაატარეს ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, თუმცა, ამის მიუხედავად, დამნაშავე პირები ვერ გამოვლინდნენ, ასეთ შემთხვევაში არაეფექტიან გამოძიებაზე დავის საფუძველი არ არსებობს. ეფექტიანი გამოძიების მიზნებისთვის, მთავარია შედეგის მისაღწევად (დამნაშავეთა იდენტიფიცირება და დასჯა) გამოყენებული საშუალებები და არა - თავად შედეგი.

[55] აკსოი თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey), no. 21987/93, 18/12/1996, პარ. 93.

ნაწილი II

პრაქტიკული რჩევები

რა ზომები უნდა მივიღოთ ეროვნულ დონეზე გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებული საქმის ევროპული სასამართლოსთვის მოსამზადებლად?

შესავალი

ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის მიზნებისთვის ეროვნულ დონეზე საქმის სრულყოფილი წარმოებისთვის საჭიროა, დაზარალებულის წარმომადგენელი აქტიურად ადევნებდეს თვალს საგამოძიებო პროცესს და ჩართული იყოს მასში. ქვემოთ წარმოდგენილია ის პრაქტიკული რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც რეკომენდებულია სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებისას.

2.1. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავი ორგანო გამოძიების დაწყებაზე უარს აცხადებს?

იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი/პროკურორი გამოძიების დაწყებაზე უარს აცხადებს, ადვოკატმა უნდა მიმართოს ზემდგომ პროკურორს და გენერალურ ინსპექციას. ზემდგომი პროკურორისგან უნდა მოითხოვოს შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყება, ხოლო გენერალური ინსპექციისგან - გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის გამო პროკურორისთვის/გამომძიებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის 4-თვიანი ვადა აითვლება გამომძიებლის/პროკურორის იმ წერილიდან, რომლითაც გამოძიების დაწყებაზე უარი ეთქვა ადვოკატს. თუ მას წერილი ფოსტით ჩაჰბარდა და აქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, 4-თვიანი ვადა შეიძლება აითვალონ წერილის ჩაბარების დღიდან. სხვა შემთხვევაში ვადა ადვოკატმა უნდა აითვალოს იმ თარიღიდან, რომელიც გამომძიებლის/პროკურორის წერილზეა მითითებული.

იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო ორგანო ადვოკატის მიერ გამოძიების დაწყების მოთხოვნაზე უპასუხებს, რომ გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა მიმდინარეობს ე.წ. „წინასაგამოძიებო საქმე/მოკვლევა“, მაშინ ადვოკატმა იმავე პირისგან წერილობით უნდა მოითხოვოს გამოძიების დაწყება და მიუთითოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ცნებას „წინასაგამოძიებო საქმე/მოკვლევა“. თუ ადვოკატი კვლავ იმავე შინაარსის წერილს მიიღებს, მისი გასაჩივრება შეუძლია ზემდგომ პროკურორსა და გენერალურ ინსპექციაში. გამომძიებლის/პროკურორის პასუხი, რომ მიმდინარეობს წინასაგამოძიებო მოკვლევა, უტოლდება უარს გამოძიების დაწყებაზე, ამიტომ ევროპული

სასამართლოსთვის მიმართვის 4-თვიანი ვადის ათვლა დაიწყება გამომძიებლის/პროკურორის ამ წერილიდან.

2.2. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავი ორგანო გამოძიებას წყვეტს?

მიმდინარე გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, აუცილებელია გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება, თუ მსხვერპლს აქვს დაზარალებულის სტატუსი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების შემთხვევაში ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს სასამართლოში.[56] საჩივრის დაუკმაყოფილებლობისას ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის 4-თვიანი ვადა აითვლება ზემდგომი პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანის ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს დაზარალებულის სტატუსი, 4-თვიანი ვადის ათვლა იწყება გამოძიების შეწყვეტის მომენტიდან, ვინაიდან არ არსებობს გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმი. თუმცა, ამ დადგენილების გასაჩივრება შეიძლება ზემდგომ პროკურორთან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - პირველი ინსტანციის სასამართლოშიც, მაგრამ ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის 4-თვიანი ვადა პროკურორის მიერ მიღებული დადგენილებიდან აითვლება. ამასთან, შესაძლებელია, დამატებით გენერალურ ინსპექციასა და პროკურატურაში სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდო გულგრილობისა ან სამსახურებრივი

---

[56] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილის თანახმად: „დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობა, იმავე კოდექსის მე-11^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი საჩივარს არ დააკმაყოფილებს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.“

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნა.

2.3. ვალდებულია თუ არა დაზარალებულის ადვოკატი, გამოიჩინოს დაინტერესება გამოძიების შედეგებით და რა ქმედებების განხორციელებაა საჭირო?

როგორც ზემოთ ითქვა, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი ან/და პროკურორი ვალდებულნი არიან, დაიწყონ გამოძიება. გამოძიება უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური. ეროვნული კანონმდებლობის ნორმები არ ავალდებულებს დაზარალებულს ან მის ადვოკატს, დაინტერესდნენ პროცესის მიმდინარეობით ან პერიოდულად მიუთითონ გამომძიებელსა თუ პროკურორს გამოძიების მიზნებისთვის საჭირო მოქმედებების ჩატარების თაობაზე.

გაითვალისწინეთ: ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნები რადიკალურად განსხვავდება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებისგან. კერძოდ: ევროპულ სასამართლოში გამოძიების არაეფექტიანობის თაობაზე დავის წარმოების მიზნებისთვის, დაზარალებულმა ან მისმა ადვოკატმა უნდა გამოიჩინონ „სათანადო გულისხმიერება“ და დაინტერესება მიმდინარე გამოძიების მიმართ. დაინტერესება გამოიხატება მათ მიერ გამოძიების მწარმოებელი ორგანოსადმი მიწერილი წერილებით, რომლებითაც ისინი მოითხოვენ ინფორმაციას მიმდინარე გამოძიების შესახებ. მეტიც, თუ დაზარალებულს/ადვოკატს მიაჩნია, რომ არ განხორციელებულა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია, გამოძიება მიჩნეული იყოს სრულყოფილად, ან არ იცის, ჩატარდა თუ არა მსგავსი სახის საგამოძიებო მოქმედებები, მაშინ დაზარალებულმა/ადვოკატმა თავად უნდა მიუთითოს საგამოძიებო ორგანოებს ამ ტიპის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საჭიროების შესახებ. სასურველია, მოთხოვნები იყოს მკაფიო, მაგალითად:

- ჩაატარეთ კონკრეტული სახის ექსპერტიზა;
- დააყენეთ კონკრეტული მოწმეების დაკითხვის მოთხოვნა, რომლებიც, თქვენი აზრით, ფლობენ ან, შესაძლოა, ფლობდნენ საქმის ირგვლივ მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღების მოთხოვნა;

- თუ მსხვერპლი არ არის დაზარალებულად ცნობილი, მოითხოვეთ პროკურორის, ზემდგომი პროკურორისა ან პირველი ინსტანციის სასამართლოსგან დაზარალებულის სტატუსის მინიჭება; დაზარალებულის სტატუსის მქონე მსხვერპლის შემთხვევაში, აუცილებლად მოითხოვეთ საქმის მასალების გაცნობა/გადმოცემა;
- ასევე, სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ინდივიდუალური საქმის გარემოებებიდან გამომდინარეობს.

აუცილებელია, ადვოკატის მიერ პროაქტიულად ინფორმაციის გამოთხოვნა და გამომძიებლის/პროკურორის მიერ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მაგალითად, პერიოდულად მიმართვის დროს დაზარალებულს/ადვოკატს შეუძლია მსგავსი ინფორმაციის მოთხოვნა:

- რა ფაქტზე და სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით მიმდინარეობს გამოძიება;
- რა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა მოცემული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში;
- დაიკითხნენ თუ არა მოწმეები;
- რა სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება იგეგმება მომავალში;
- დაიწყო თუ არა სისხლის სამართლებრივი დევნა ვინმეს მიმართ;
- ჩატარდა თუ არა ჩხრეკა, ამოღება ან საქმისთვის მნიშვნელოვანი სხვა საგამოძიებო მოქმედებები და ა.შ.

<u>გაითვალისწინეთ:</u> ადვოკატები ხშირად იღებენ მსგავს პასუხს საგამოძიებო ორგანოებიდან: „მიმდინარე გამოძიების პროცესში თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირი არ წარმოადგენს დაზარალებულს და მხოლოდ ამ სტატუსის მინიჭების შემდეგ მიეცემა მას საშუალება, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს“. როგორც ზემოთ გაანალიზდა, ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ზემოაღნიშნული პრინციპები ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებსაც სავარაუდოდ ზიანი მიადგათ იმ დანაშაულის შედეგად,

რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით რა პროცესუალური სტატუსის მატარებლები არიან ისინი გამოძიების ეტაპზე.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაზარალებულად, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა მნიშვნელოვან უფლებებს ანიჭებს მსხვერპლს, აუცილებელია ქვეყნის შიდა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი შესაძლებლობების გამოყენება და გამოძიების ადრეული ეტაპიდანვე დაზარალებულის ან დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა. პროკურორის მიერ სტატუსის მინიჭებაზე უარი ან დაზარალებულის სტატუსის გაუქმების შესახებ დადგენილება აუცილებლად უნდა გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან, ზემდგომი პროკურორის დადგენილება კი სტატუსის მინიჭებაზე უარის შესახებ - სასამართლოში.

გაითვალისწინეთ: საგამოძიებო ორგანოს დაზარალებულმა/ადვოკატმა უნდა მიმართოს გონივრული პერიოდულობით. ზუსტი ვადები არ არის დადგენილი და კონკრეტულ საქმეში ადვოკატმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმის სირთულისა და შინაარსიდან გამომდინარე. არც ევროპული სასამართლო ადგენს გამოძიების გონივრულ ვადებს. იგი განისაზღვრება საქმის მოცულობისა და დასაკითხ პირთა სიმრავლის მიხედვით.

შესაბამისად, საკითხი, თუ როდის უნდა მიხვდეს ადვოკატი, რომ მიმდინარე გამოძიება არ არის ეფექტიანი, არის ძალიან ინდივიდუალური და კონკრეტული საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული/ადვოკატი იმყოფება ინფორმაციულ ვაკუუმში და, მოთხოვნის მიუხედავად, საგამოძიებო ორგანო რეაგირების გარეშე ტოვებს მის კითხვებსა და მოთხოვნებს, ან იღებს შაბლონურ პასუხს, რომ „მიმდინარეობს გამოძიება“, ასეთ შემთხვევაში ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის დროა. არ არის საჭირო, დააგროვოთ ბევრი შაბლონური პასუხი საგამოძიებო ორგანოებიდან იმისთვის, რომ მიხვდეთ, არის თუ არა მიმდინარე გამოძიება ეფექტიანი. პირიქით, როდესაც არსებობს 2 ან 2-ზე მეტი შაბლონური პასუხი და, იმავდროულად, ხვდებით ან/და იცით უშუალოდ საქმის მწარმოებელი პირისგან, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება

არ ხდება ან ჭიანურდება, მაშინ უკვე შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ ეროვნულ დონეზე მიმდინარე გამოძიება არაეფექტიანია.

თუ საგამოძიებო ორგანოს პასუხებიდან იკვეთება, რომ, მაგალითად, დაჰკითხეს ინციდენტის შემსწრე 10 მოწმე, დაათვალიერეს შემ-თხვევის ადგილი, დაჰკითხეს პოლიციელები და იქვე გწერენ, რომ მიმდინარეობს გამოძიება - ცხადია, ამ შემთხვევაში რაღაც ტიპის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია და ჩნდება მათი შემდგომი გაგრძელების მოლოდინი. ასეთ დროს პერიოდულად ახორციელებთ მონიტორინგს, თუ რა ახალი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა და შედეგების შესაბამისად იღებთ გადაწყვეტილებას ევროპული სა-სამართლოსთვის მიმართვის თაობაზე. მაგალითად, თუ თქვენ მიერ დაყენებულ კითხვებზე გამომძიებლის/პროკურორის საპასუხო წერილიდან იკვეთება, რომ ახალი არაფერი ჩატარებულა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში და დამატებითი კითხვებით მიმართვის შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოებიდან იღებთ შაბლონურ პასუხს, რომ „მიმდინარეობს გამოძიება“ - ეს უკვე, შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარსადგენად.

გაითვალისწინეთ: მიმდინარე გამოძიების მონიტორინგის კარგი საშუალებაა საქმის მასალების გაცნობა, როდესაც ასეთი საშუალება გეძლევათ. ამიტომ, აუცილებელია, გამოითხოვოთ საქმის მასალების ასლები. თუ გამომძიებელი ამ ასლებს არ გადმოგცემთ, მოითხოვეთ მათი გაცნობა საგამოძიებო ორგანოში. პარალელურად, შეგიძლიათ, გაასაჩივროთ გამომძიებლის უარი და მოითხოვოთ, რომ მას დაევალოს თქვენთვის სისხლის სამართლის მასალების ასლების გადმოცემა. საქმის მასალების საგამოძიებო ორგანოში გაცნობის დროს, **სავალდებულოა,** აწარმოოთ ჩანაწერები. აუცილებელია, ჩანაწერებში იყოს ინფორმაცია იმ დროისათვის საქმეში არსებული თითოეული დოკუმენტის შესახებ (მაგალითად, ვინ არის გამო-კითხული და რა ძირითად ინფორმაციას გადმოსცემს, რა სახის ექსპერტიზაა ჩატარებული, რა იყო ექსპერტიზისთვის დასმული კითხვები და რა არის დასკვნა და ა.შ.). ეს ჩანაწერები საჭიროა შემდგომში ეროვნულ დონეზე საქმის ეფექტიანად წარმართ-ვისთვისაც და ევროპულ სასამართლოში გამოძიების ეფექტიანობის შესახებ დავისთვისაც. სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას ასევე აუცილებელია შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, ვინაიდან თქვენ, როგორც დაზარალებულის ადვოკატს, ვერ გექნებათ წვდომა სასამართლოს სხდომის ოქმზე.

თუ დანაშაულის კვალიფიკაციას არ ეთანხმებით, გაითვალისწინეთ შემდეგი:

სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ხშირია გამოძიების წარმართვა არასწორი კვალიფიკაციით. ხშირად ქმედების დაკვალიფიცირება ხდება ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, თვითმკვლელობამდე მიყვანით სავარაუდო მკვლელობის ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით სავარაუდო წამების დაკვალიფიცირება). ამასთან, ხშირ შემთხვევაში არ ხდება დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა.

აუცილებელია საგამოძიებო ორგანოებისგან სათანადო კვალიფიკაციით გამოძიების წარმართვის მოთხოვნა შესაბამისი დასაბუთებით. სავარაუდოდ დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, ამგვარი მოტივის გამოკვეთის მიზნით, საგამოძიებო ორგანოს უნდა წარედგინოს ზოგადი მოთხოვნა, რათა ამ მიმართულებით იმუშაოს საგამოძიებო უწყებამ. ასევე, სასურველია იმ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ განცხადების/შუამდგომლობის წარდგენა, რომლებიც, ადვოკატის აზრით, საგამოძიებო ორგანოებს დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთაში დაეხმარება.

2.4. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი გამოძიების მწარმოებელი სუბიექტის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით არსებობს კითხვები?

იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეს აწარმოებს გამომძიებელი/პროკურორი, რომლის მიმართაც არსებობს კითხვები მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, აუცილებელია წერილობითი მოთხოვნა დამოუკიდებელი უწყებისა ან გამომძიებლისთვის საქმის გადაცემის თაობაზე (სხვა გამომძიებლისთვის საქმის გადაცემის მოთხოვნით უნდა მიმართოთ პროკურორს, ხოლო ერთი საგამოძიებო ორგანოდან მეორისთვის გადაცემის მოთხოვნით - გენერალურ პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილის უფროსს, გენერალური პროკურორის მოადგილეს ან გენერალურ პროკურორს).

იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის მე-2 ან მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების არსებითი მხარე დარღვეულია სამართალდამცავი უწყების თანამშრომლების მიერ, ჩადენილი დანაშაულების გამოძიება ევალება სახელმწიფო ინსპექტორის

სამსახურს ან პროკურატურას. ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, მოვითხოვოთ საქმის დაქვემდებარება იმ უწყებისთვის, რომელიც კანონმდებლობით ვალდებულია, აწარმოოს გამოძიება. თუ გენერალური პროკურატურა უარს ამბობს საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ევროპულ სასამართლოში გასაჩივ-რების საკითხი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოების შესწავლის საფუძველზე. პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულებს იძიებს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია. ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურის თანამშრომელმა ჩაიდინა დანაშაული, გამოძიების წარმოება მოთხოვნილი უნდა იყოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციისგან.

2.5. როგორ აითვლება ევროპულ სასამართლოში მიმართვის 4-თვიანი ვადა არაეფექტიანი გამოძიების საქმეებზე?

როდესაც ვდავობთ, რომ საქმეზე მიმდინარე გამოძიება არ არის ეფექტიანი, ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის მიზნებისთვის მოქმედებს შემდეგი წესი: 4-თვიანი ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც ობიექტურად აღქმადი ხდება, რომ გამოძიება არ არის ეფექტიანი, ანუ მომჩივნისთვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო, რომ მიმდინარე გამოძიება არაეფექტიანია. გამოძიება არაეფექტიანად მიიჩნევა, თუ მომჩივანს არ შეიძლებოდა, ჰქონოდა გონივრული მოლოდინი, რომ მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებით გამოძიება წინ წავიდოდა ან/და ეს მოქმედებები საერთოდ ჩატარდებოდა.

2.6. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დგება დაზარალებულის პასუხისგებაში მიცემის საკითხი ცრუ დასმენისა ან პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის?

პრაქტიკაში არაერთხელ გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც სა-მართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, სამართალდამცავების ნაცვლად, ისჯება დაზარალებული. კერძოდ, მას აკისრებენ პასუხისმგებლობას ცრუ დასმენისა ან პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის.

ჯერჯერობით არ არსებობს მსგავს შემთხვევაში ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის მყარად დამკვიდრებული პრაქტიკა. შესაძლებელია, 4-თვიანი ვადის ათვლა დაიწყოს სხვადასხვა დროს, საქმის გარემოებების შესაბამისად, მაგალითად:

1. მსხვერპლისადმი/დაზარალებულისადმი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების შეწყვეტისა და მის წინააღმდეგ ახალი გამოძიების დაწყების შემთხვევაში, თუ მსხვერპლს აქვს დაზარალებულის სტატუსი, გამოძიების შეწყვეტის დადგენილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს ზემდგომი პროკურორის დადგენილება საჩივრდება სასამართლოში. ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის 4-თვიანი ვადა აითვლება ზემდგომი პროკურორის დადგენილებისა ან სასამართლოს გადაწყვეტილების თარიღიდან.
2. გამოძიების მიმდინარეობისას, შესაძლოა, საგამოძიებო ორგანომ საქმის კვალიფიკაცია, არასათანადო მოპყრობა, შეცვალოს ცრუ დასმენითა ან პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევით. მსგავს შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ 4-თვიანი ვადის ათვლის დასაწყისად შეიძლება მიიჩნიოს კვალიფიკაციის შეცვლის თარიღი, ვინაიდან ამ მომენტიდან დაზარალებულს ვეღარ ექნებოდა არასათანადო მოპყრობის ფაქტის ყოველმხრივი, ობიექტური, სრულყოფილი გამოძიებისა და დამნაშავის გამოვლენის მოლოდინი. ამიტომ, 4-თვიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ მიღებული დადგენილების თარიღიდან. დამატებით, შესაძლებელია ზემდგომ პროკურორთან ამ დადგენილების გაუქმების მოთხოვნა, თუმცა, ვინაიდან მისი გასაჩივრების მექანიზმი პირდაპირ არ არის გაწერილი, 4-თვიანი ვადა მაინც პროკურორის დადგენილების თარიღიდან უნდა აითვალოს. თუ ეს თარიღი უცნობია და ამის შესახებ ინფორმაცია არც საგამოძიებო ორგანოებმა მოგაწოდეს, მაშინ 4-თვიანი ვადა აითვლება პროკურატურიდან მიღებულ წერილზე მითითებული თარიღიდან.